ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 199

“19” მაისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის“ (ს/ნ. 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6, მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 და 12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის“ (ს/ნ. 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 17 მაისის №23.674.765 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის“ (ს/ნ. 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი, დავით სარაჯიშვილის სახელობის, მსუბუქი კონსტრუქციის მქონე საგამოფენო პავილიონის განთავსების მიზნით.

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

3. განკარგულება, შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე